საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №57/04
2023 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

„კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №173/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2023 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №173/04 ბრძანების (www.matsne.gov.ge; 21/12/2017; ს/კ: 220020200.18.011.016262) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთად განისაზღვროს 1%.“.

მუხლი 2

კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის მოთხოვნა დააკმაყოფილონ ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი (მოვალეობის შემსრულებელი) **არჩილ მესტვირიშვილი**